ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

act

საავტორო უფლებების ასოციაციებთან და აღრიცხვის სისტემასთან დაკავშირებული დამოკიდებულებების კვლევა

Empowering *the* Change

ანგარიში
ACT, 2022

Introduction

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“, 2012 წლიდან აქტიურად მონაწილეობს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და სამართლებრივი საკითხების შესწავლასა და წარმოდგენაში, რომლის ერთ-ერთ მიმართულებაა კვლევითი საქმიანობა და განხორციელებული მონიტორინგის შედეგები. ორგანიზაციის ინტერესს ყოველთვის წარმოადგენდა იმ საკითხებზე ადვოკატირების უზრუნველყოფა, რომელიც სამართლის სფეროში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს და საზოგადოებრივი დისკუსიის შემადგენელს წარმოადგენდა. ბოლო წლებში, ერთ-ერთ ასეთ მიმართულებად უდავოდ უნდა ჩაითვალოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში არსებული გამოწვევები, მისი რეგულირება და პრაქტიკული დავები. მაგალითად, ორგანიზაციამ 2022 წლის 13 აპრილს წერილით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა სტატისტიკური ინფორმაცია აღნიშნული ინსტანციის მიერ 2019-2022 წლებში განხილულ საქმეების კატეგორიებთან დაკავშირებით. დგინდება, რომ 2019 წელს, თბილისის საქალაქო სასამართლოში, საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებით, დარეგისტრირდა 140 საქმე, 2020 წელს - 241 საქმე, 2021 წელს - 82 საქმე, რაც ამჟამადაც განხილვის რეჟიმშია, რაც მოწმობს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სფეროში არსებული საჭიროებები და ტენდენციები, როგორც ავტორთა უფლებების დაცვის, ასევე დამდგარი ზიანის ანაზღაურების მიმართულებით.

ჩვენ, ამ მიმართულებით გვაქვს კანონმდებლობა, რაც საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მისი ჰარმონიზაციის პროცესი, კიდევ უფრო მეტად აქტუალური და შეუქცევადი ხდება. საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება დაცულია. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაცულია ავტორის პირადი ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები. ეს კანონი ამ სფეროში არსებულ ძირითად საერთაშორისო ხელშეკრულებებს ეფუძნება. მათგან უმნიშვნელოვანესია ბერნის კონვენცია „ლიტერატურისა და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ“ და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის 1967 წლის კონვენცია. საავტორო უფლებების დაცვის შესახებ ორივე მათგანი მსგავს დათქმებს აკეთებს, რომელიც ასევე, ასახულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონშიც. ერთ-ერთ საქმეზე, სასამართლომ განმარტა: „იმისათვის, რათა ავტორის შემოქმედებითი საქმიანობის ნაყოფი, დაცული იყოს და თავად ავტორს შეეძლოს მისი გამოყენების კონტროლი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს, კერძოდ, ავტორის მიერ მისი შემოქმედების გამოყენების შესახებ გაცემული თანხმობა წერილობით უნდა გაფორმდეს. აღნიშნულ დათქმას ავტორისთვის განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, რადგან სწორედ მისი რეალიზებით ეძლევა მას ჰონორარის მიღების უფლება. ავტორისთვის ჰონორარის მიღების უფლება უმნიშვნელოვანესია იგი ავტორის წახალისებისა და დაფასების გამოხატულებას წარმოადგენს. სწორედ ამ გზით მიიღწევა ხელოვანის შინაგანი კმაყოფილება, რადგან ინტელექტუალური შემოქმედების ნაყოფის გამოყენებით დასტურდება, რომ ავტორმა ღირებული ნაწარმოები შექმნა, რაც უდავოდ, ხელოვანის მთავარ მონაპოვარს წარმოადგენს“ (იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 24 აპრილის განჩინება, საქმეზე: № 2ბ/5388-17).

შესავალი

წინამდებარე კვლევა: „საავტორო უფლებების ასოციაციებთან და აღრიცხვის სისტემასთან დაკავშირებული დამოკიდებულებები“-ს მიზანია, უწინარესს ყოვლისა, დაიცვას ავტორის უფლება და მოახდინოს სფეროში არსებული გამოწვევების, მიმართულებებისა და რეალობის ანალიზი. დოკუმენტი მოიცავს მიმოხილვას ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაციებით სარგებლობის პრაქტიკა და მომსახურებით კმაყოფილების შესწავლა, საავტორო უფლებების დაცვის მნიშვნელობა და დამოკიდებულებები, მონაცემთა შედარება. ვინაიდან საკითხი და კვლევა ეფუძნება პრაქტიკულ მახასიათებლებსა და მაჩვენებლებს, ორგანიზაციამ დოკუმენტი შექმნა კვლევისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო გლობალურ კომპანია „ACT“-თან („ეისითი“) თანამშრომლობითა და მონაწილეობით. საკითხის ექპერტიზა განახორციელეს პროფესიონალების გუნდმა, რომელთა მიზანს ზუსტი მონაცემების შეგროვება და საზოგადოებისთვის პრობლემის ფართოდ მიწოდება წარმოადგენდა. თითქმის სამი თვის განმავლობაში, კვლევის ავტორმა ორგანიზაციამ დეტალურად შეისწავლა სფეროს აქტუალური საკითხები, მონაცემები დააფუძნა სფეროს მოქმედი წევრების აზრის შესწავლას, გამოკვეთა მიგნებები და დასკვნები. ამდენად, კვლევა წარმოადგენს პირველ სერიოზულ საქმიან დოკუმენტს, რომლიც შეთავაზებული იქნება საზოგადოებისთვის, საკითხით დაინტერესებული წევრებისთვის და სფეროში ჩართული ყველა რგოლის მომხმარებლისთვის. შესაბამისად, კვლევის მიზანია, წინასწარი განწყობების ნაცვლად, დემოკრატიულ საზოგადოებაში, საკითხთან მიმართებით, ხელი შეუწყოს ობიექტური შეხედულებების გაჩენას და განვითარებას.

ორგანიზაცია წარმოდგენილ კვლევას მიაწვდის აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას, ბიზნესის წარმომადგენლებს, საავტორო და შემსრულებელ ორგანიზაციებს, ასოციაციებს, დიპლომატიური კორპუსს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, მედიას. კვლევაში წარმოდგენილი მონაცემები და მიგნებები ეკუთვნის კვლევის შემსრულებელ კომპანიას და რაიმე ფორმით არ არის დამკვეთი ორგანიზაციის შეხედულებებზე დამოკიდებული, გარდა წარმოდგენილ საკითხებზე სრულფასოვანი შესწავლისა და შედეგების უზრუნველყოფისა. ამდენად, ორგანიზაცია კიდევ ერთხელ მადლობას უხდის კვლევისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო გლობალურ კომპანია „ACT“-ს თანამშრომლობისა და გაწეული საქმიანობისთვის.

არჩილ კაიკაციშვილი
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი

მინასარსი

I. ავტორ-შემსრულებლები

- საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაციებით სარგებლობის პრაქტიკა და მომსახურებით კმაყოფილება
- საავტორო უფლებების დაცვის მნიშვნელობა, დამოკიდებულებები

II. ბიზნესის წარმომადგენლები

- საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაციებით სარგებლობის პრაქტიკა და მომსახურებით კმაყოფილება
- საავტორო უფლებების დაცვის მნიშვნელობა, დამოკიდებულებები

III. მონაცემთა შედარება

მეთოდოლოგია

	თვისებრივი კვლევა	რაოდენობრივი კვლევა
კვლევის ტექნიკა	ჩაღრმავებული ინტერვიუ	სატელეფონო ინტერვიუ (CATI)
სამიზნე სეგმენტი	▪ **სეგმენტი 1 -** მუსიკალური ნაწარმოებების შემსრულებლები და ავტორები; ▪ **სეგმენტი 2 -** საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებებით (მუსიკა / რეპერტუარი) მოსარგებლე ობიექტების მენეჯერები / მფლობელები	▪ **სეგმენტი 1 -** მუსიკალური ნაწარმოებების შემსრულებლები და ავტორები; ▪ **სეგმენტი 2 -** საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებებით (მუსიკა / რეპერტუარი) მოსარგებლე ობიექტების მენეჯერები / მფლობელები
შერჩევის ზომა	**სულ 12 ჩაღრმავებული ინტერვიუ:** ▪ **სეგმენტი 1** - *6 ინტერვიუ (3 გერა-ს წევრი,3 GCA-ის წევრი)* ▪ **სეგმენტი 2** - *6 ინტერვიუ (3 როზუმის მომხმარებელი, 3 GCA-ის მომხმარებელი)*	**სულ 140 სატელეფონო ინტერვიუ:** ▪ **სეგმენტი 1** - *74 ინტერვიუ (37 გერას წევრი, 37 GCA-ის წევრი)* ▪ **სეგმენტი 2** - *140 ინტერვიუ (56 როზუმის მომხმარებელი, 84 GCA-ის მომხმარებელი)*
შერჩევის მეთოდი	მიზნობრივი შერჩევა	▪ სეგმენტი 1 - მიზნობრივი, მოხერხებული შერჩევა ▪ სეგმენტი 2 - შემთხვევითი შერჩევა
ინტერვიუს ხანგრძლივობა	45 წთ - 1 სთ	15 წთ.
კვლევის არეალი	საქართველო	საქართველო

კვლევის ძირითადი მიგნებები

Empowering *the* Change

კვლევის ძირითადი მიგნებები
ავტორ-შემსრულებლები

• საავტორო უფლებების დაცვის მნიშვნელობა

კვლევაში მონაწილე ავტორ-შემსრულებელთა აბსოლუტურ უმრავლესობას (96%) აღელვებს საავტორო უფლებების დაცვის საკითხი. ფიქრობენ, რომ დღეს განვითარებულ ქვეყნებში ამ მიმართულებით პრობლემა არ არსებობს, განსხვავებით საქართველოსგან, სადაც საკითხებზე სერიოზულად ზრუნვა მხოლოდ ახლახანს დაიწყო. საუბრობენ იმაზე, რომ ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯებიც იდგმება, თუმცა ჯერ კიდევ შორი გზაა გასავლელი ევროპასა და ამერიკაში არსებულ დონემდე მისაღწევად. ავტორ-შემსრულებლები აღნიშნავენ, რომ ხშირად აწყდებიან საავტორო უფლებების დარღვევის ფაქტებს - მაგ., მათთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე ჟღერდება ნაწარმოებები კონცერტებზე, რესტორნებში და ა.შ. ეს კი არა მხოლოდ გამაღიზიანებელია მათთვის, არამედ დაუცველობის გრძნობასაც აჩენს.

რესპონდენტები თანხმდებიან, რომ საავტორო უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია შემდეგი მიზეზით:

1. ეს არის ხელოვანი ადამიანების პატივისცემა და დაფასება - ფიქრობენ, რომ ადამიანებმა უფრო სერიოზულად უნდა აღიქვან არტისტების პროფესია და მათი ინტელექტუალური საკუთრება. საჭიროა ცნობიერების ამაღლება იმის შესახებ, რომ დაუშვებელია სხვისი შემოქმედებით უნებართვოდ, შესაბამისი ჰონორარის გადახდის გარეშე სარგებლობა.

2. ხელოვანი ადამიანებისთვის შემოსავლის წყაროა - აღინიშნა, რომ ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპოზიტორებისთვის, ლექსის და არანჟირების ავტორებისთვის, რადგან მომღერლებს ისედაც აქვთ შემოსავლის მიღების შესაძლებლობა ნაწარმოებების შესრულებიდან, თუმცა თავად მომღერლები არ იზიარებენ აღნიშნულ მოსაზრებას.

> *„უცბად შედიხარ ერთ-ერთ დაწესებულებაში, ირთვება შენი ორიგინალი და იპარავენ. ამისათვის არის საჭირო. რომ მოიპარონ და წაიღონ, ზუსტად ის საავტორო არის, ვინც მე უნდა დამიცვას, ამინაზღაუროს და დარიცხოს ეს თანხები. ასე რომ გაკეთდება და აღრიცხვას გააკეთებენ შენი სიმღერების და შენ გერიცხება, მერე მომღერალი პირიქით თვითონ მისცემ მინუს ფონოგრამას. მე რომ ვწერ და მეუბნებიან: „ხომ ვერ მომცემდი ამ მინუს ფონოგრამას?“, ვერ ვაძლევ, მე იმაში თანხა მაქვს გადახდილი და ჩემზე წინ თუ სხვამ იმღერა, მაშინ რა აზრი აქვს ჩემთვის ამას?! ამისთვის არის საჭირო, რომ მომღერლის უფლებები დაიცვან.“*

კვლევის ძირითადი მიგნებები
ავტორ-შემსრულებლები

• ტექნოლოგიის არსებობის იდეა

ნაწარმოებით სარგებლობის აღსარიცხად დღეს გამოყენებულ ტექნოლოგიასთან დაკავშირებით ხელოვანები ნაკლებად არიან ინფორმირებულები (სმენიათ „სთრიმების“ მიხედვით ანაზღაურება, ბოქსები). ფიქრობენ, რომ გაჟღერებული რეპერტუარი გარკვეული ტექნოლოგიის საშუალებით უნდა აღირიცხებოდეს და არა მექანიკურად („ხელით“), დაწესებულების თანამშრომლის მიერ, რადგან 1. ამ გზით მიწოდებული ინფორმაცია საეჭვოა და 2. ტექნოლოგიის გამოყენება უფრო მარტივი, ზუსტი და სწრაფია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებებით სარგებლობის აღსარიცხად ტექნოლოგიური მოწყობილობის არსებობის იდეას ცალსახად მიესალმებიან (9.41 ქულა) და დიდი ალბათობით განიხილავენ ასეთი ტექნოლოგიის მქონე ასოციაციასთან თანამშრომლობას (9.24 ქულა).

„ალბათ ტექნოლოგია. დარწმუნებული ვარ, ვიღაც კაცი პაპკით არ დადის და არ იწერს, ვისი სიმღერა რამდენჯერ სრულდება. უნდა იყოს რაღაც, რითაც მოხდება ამ ყველაფრის აღრიცხვა.“

კვლევის ძირითადი მიგნებები
ავტორ-შემსრულებლები

• საავტორო უფლებების რეგულირების ფუნქციების განაწილება

ავტორ-შემსრულებელთა უმრავლესობა მიიჩნევს (46% vs 39%), რომ საავტორო უფლებების მმართველი **რამდენიმე ასოციაცია შეიძლება არსებობდეს** ქვეყანაში (სფეროების, დარგების შესაბამისად), მასში ნებაყოფლობით გაერთიანების შესაძლებლობით. რადგან მონოპოლიზაციას, ნებისმიერ სფეროში, მხოლოდ უარყოფითი შედეგი მოაქვს. მაშინ, როდესაც კონკურენციის არსებობისას ორგანიზაციები უკეთეს მომსახურებას და პირობებს სთავაზობენ მომხმარებელს.

უმრავლესობა მიესალმება **ერთი და იმავე ასოციაციის მიერ საავტორო უფლებების აღრიცხვასა და ჰონორარის განაწილებასაც** (62% vs 24%). აღნიშნულს განაპირობებს მხოლოდ ერთ კომპანიასთან თანამშრომლობის და კომუნიკაციის პროცესის სიმარტივე, თუმცა ამ დროს არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი შესრულებული საქმის ხარისხი (გაჟღერებული ნაწარმოებების 100%-იანი კონტროლი და სამართლიანად ანაზღაურება). შედარებით ნაკლები მომხრე ჰყავს ფუნქციების გაყოფის იდეას, რომელსაც რიგი რესპონდენტები უფრო ობიექტურად და სამართლიანად მიიჩნევენ იმ არგუმენტით, რომ შეფასებების მიკერძოება და ანაზღაურების უსამართლოდ განაწილება შედარებით ნაკლებ ალბათურია.

რესპონდენტთა დიდი წილი (65% vs 16%) მიიჩნევს, რომ ავტორ-შემსრულებლის ჰონორარის გადახდა უნდა ხდებოდეს **ნაწარმოებების ფაქტობრივი გამოყენების, გაჟღერებული რეპერტუარის პროპორციულად** და არა ამა თუ იმ რეიტინგის გამოყენებით, რაც ცალკეულ სფეროებში პოპულარული ხელოვანებისთვის უპირატესობის უსამართლოდ მინიჭებისგან დაიცავს სისტემას. ფიქსირებული ანაზღაურების შემთხვევაში კი, არტისტების ჰონორარს შორის განსხვავება უნდა არსებობდეს. ზოგადად შეიმჩნევა ტენდენცია, რომ ავტორ-შემსრულებლები არ არიან სიღმისეულად ინფორმირებული ანაზღაურების აღრიცხვასა და ჰონორარის განაწილებასთან დაკავშირებით.

ცალსახაა ავტორ-შემსრულებელთა პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ საავტორო უფლებები **სახელმწიფოს პრიორიტეტულ საკითხებს შორის** უნდა იკავებდეს ადგილს (88% vs 5%). მიიჩნევა, რომ უფლებებს კანონი უნდა იცავდეს, მონიტორინგს კი, ძირითადად შემთხვევაში, სახელმწიფო უწყებები (სასამართლო, კულტურის სამინისტრო, პოლიცია, მერია) უწევდნენ. საავტორო უფლებების მონიტორინგსა და დარღვევაზე პასუხისმგებელ შესაძლო ორგანიზაციებს შორის სახელდება გერა, ჯისიეი თუ სხვა ნებისმიერი მსგავსი მიმართულებით ოპერირებადი ორგანიზაციაც, თუმცა მათ საწინააღმდეგო არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ ასოციაციებს არ შეიძლება დაევალოთ საკუთარი საქმიანობისვე კონტროლი.

> *„საერთოდ, კარგი იქნება, ერთად იყოს თავმობმული და აქეთ-იქით არ იყოს მიდებული. ისე, ათს და პატარ-პატარას, ყოველთვის სჯობს იყოს ერთი და გრანდიოზული, აკეთოს ის საქმე ხარისხიანად, რასაც ჰქვია“.*

> *„უნდა არსებობდეს ერთი ორგანიზაცია. მაგალითად, გერა და იყოს მეორე. კონკურენცია ძალიან კარგი იქნება, ერთმანეთს რომ შეეჯიბრებიან, ვისთან იყოს მომღერალი თუ ავტორი. მე მივესალმები მაგას. ორი თუ იქნება, უკეთესია.“*

კვლევის ძირითადი მიგნებები
ავტორ-შემსრულებლები

- **საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაციების შერჩევა, კმაყოფილება, უკმაყოფილება**

მოცემული მომენტისთვის საავტორო უფლებების დაცვის მიმართულებით მოქმედი ორი ასოციაციიდან (გერა და ჯისიეი), ჯისიეი ოპერირების უფრო ხანგრძლივ ვადას ითვლის. შესაბამისად, მისი სერვისით მოსარგებლე ავტორ-შემსრულებელთა ნახევარს (51%) მასთან უფრო გრძელვადიანი (5+ წელი) ურთიერთობა აკავშირებს.

გერას შერჩევის მიზეზები

- ახლობლების, მეგობრების რეკომენდაცია 41%
- ჰონორარის გამოთვლის გამჭვირვალე, მარტივი სქემა 16%
- კეთილგანწყობილი, ყურადღებიანი დამოკიდებულება კლიენტებისადმი 11%
- თავად ორგანიზაციის მიერ გაწევრიანების შეთავაზება 11%

გერა

გერათი კმაყოფილების მიზეზები

გერას წევრი ავტორ-შემსრულებლები კმაყოფილნი არიან მასთან თანაშრომლობით (8.38 ქულა) და რეკომენდაციასაც უწევენ (8.78 ქულა). მათი თქმით, კომპანიას პროფესიონალი თანამშრომლები ჰყავს, რომლებიც მუდმივად ასრულებენ დანაპირებს და გვერდში უდგანან მათ; ჰონორარის გამოთვლის მარტივი, გამჭვირვალე სქემა გააჩნიათ და ყოველთვიურად, პუნქტუალურად ერიცხებათ თანხა. საგულისხმოა, რომ დღეს გერას მომხმარებლების თითქმის ნახევარს (46%) შეადგენენ წარსულში ალტერნატიულ კომპანიებში გაწევრიანებული ავტორ-შემსრულებლები, რომელთაც ამა თუ იმ მიზეზით დატოვეს ძველი ორგანიზაცია. მათი თქმით, გერაში იღებენ ბევრად მაღალ ანაზღაურებას (3-6 ჯერ მეტს) და თავს დაფასებულად გრძნობენ.

გერათი უკმაყოფილების მიზეზები

მიუხედავად იმისა, რომ ანაზღაურების გამოთვლის მარტივი, გამჭვირვალე სქემა გერას მომსახურებით კმაყოფილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, არსებობენ ავტორ-შემსრულებლები, რომელთათვისაც იგი ბუნდოვნად რჩება. გაჟღერდა ვარაუდი, რომ შესაძლოა იგი არასათანადოდ აღრიცხავდეს ნაწარმოებით სარგებლობას, რის თქმის საფუძველსაც მათ აძლევს როგორც კარიერულად დატვირთულ, ასევე შედარებით მშვიდ პერიოდში ჩარიცხული ერთი და იმავე ოდენობის თანხა.

კვლევის ძირითადი მიგნებები
ავტორ-შემსრულებლები

- **საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაციების შერჩევა, კმაყოფილება, უკმაყოფილება**

ჯისიეის შერჩევის მიზეზები

- ალტერნატიული ორგანიზაციის არარსებობა 32%
- საკუთარი საავტორო უფლებების დაცვის იმედი 30%
- თავად ორგანიზაციის მიერ გაწევრიანების შეთავაზება 22%

ჯისიეი

ჯისიეით კმაყოფილების და უკმაყოფილების მიზეზები

ჯისიეი, რომლით კმაყოფილების დონეც 6,95 ქულით განისაზღვრება, შედარებით კრიტიკულად ფასდება საკუთარი მომხარებლების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ხაზს უსვამენ თანამშრომლების / მენეჯმენტის კომპეტენციას, მათგან სრულყოფილი ინფორმაციის მიღების გამოცდილებას და ორგანიზაციის მცდელობას, დაიცვას მათი უფლებები, უკმაყოფილებას უმთავრესად ბადებს ჰონორარის გამოთვლის რთული, ბუნდოვანი სქემა, რომლის განმარტების მოთხოვნის შემთხვევაში, ცალკეულ რესპონდენტს უხეში და დამამცირებელი პასუხის მიღების გამოცდილება აქვს. ჯისიეი დაბალ შეფასებებს იმსახურებს ანაზღაურების ოდენობის გამოც, რომელიც თავის მხრივ, 3, 6 თვეში, წელიწადში ერთხელ ან საერთოდ არ ირიცხება. ნაწილი ამ სიტუაციას საკუთარი არააქტიურობით და პანდემიით ხსნის, ნაწილი კი გამოსავალს გერაში გადასვლაში ხედავს.

> *„ჩემთვის არის მთავარი 24 საათი რომ შეამოწმონ, ამ თვეში 3 სიმღერის პრემიერა გავაკეთე რადიოში, 4 ვიდეო გადავიღე ამ პანდემიაში, 200 გადაცემაში რომ ვიყავი და 500 კლუბში, მე ხომ ვიცი, მაქვს კონცერტი და ვიღაცები ვიცი, ვისაც არ აქვს კონცერტი და ახლა გამიჩნდა იმის ფიქრის ეჭვი თუ საბაბი, რომ პირადი შერჩევის მიზნით უხდიან ადამიანებს თანხებს. ჩემი ერთ-ერთი მეგობარი, [...] გაცილებთ მეტ თანხას იღებს, ვიდრე მე“.*

კვლევის ძირითადი მიგნებები
ავტორ-შემსრულებლები

- **აღრიცხვის გზებსა და ჰონორარის გადანაწილებასთან დაკავშირებული ხარვეზები**

ავტორ-შემსრულებელთა შორის ნაკლებად ფიქსირდება ჰონორარის აღრიცხვის გზების გასაუმჯობესებელი ღონისძიებების შესახებ საერთო პოზიცია. ნახევარს უჭირს კიდეც ამ მიმართულებით რაიმე რეკომენდაციის გაცემა. მხოლოდ მცირედით მეტი მხარდამჭერი ჰყავს ნაწარმოებების შესრულების რაოდენობის მიხედვით ჰონორარის აღრიცხვის იდეას როგორც გერაში (11%), ასევე ჯისიეიში (14%). რაც შეეხება ჰონორარის განაწილებისას გამოსასწორებელ ხარვეზებს, ავტორ-შემსრულებელთა მესამედს არც ამ მიმართულებით გააჩნია პოზიცია. შედარებით აქტუალურ თემებს წარმოადგენს ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა (18%), ჰონორარის ზრდა (14%) და / მონაცემების დეტალურად აღრიცხვა (11%).

ავტორ-შემსრულებელთა მცირე ნაწილი (7%) მიიჩნევს, რომ უნდა გამრავალფეროვნდეს ჰონორარის დარიცხვის წყაროებიც. მაგ., დაიწყოს იუთუბიდან თუ კარაოკეებიდან გაჟღერებული სიმღერების აღრიცხვაც, რაც მოცემულ მომენტში მათ ჰონორარზე არ აისახება. იმ შემთხვევაში კი, თუ დღეს ეს ტექნოლოგიურად ვერ ხერხდება, ნაცვლად რესტორნის მიერ მოწოდებული სიისა, შესაძლებელია ორგანიზაციამ საკუთარი წარმომადგენელი გაგზავნოს ობიექტზე.

გამოითქვა სურვილი, ორგანიზაციას ჰქონდეს ვებ-გვერდი, სადაც განთავსდება პარტნიორი ავტორების და მათი შემოქმედების სია. ეს აამაღლებს საზოგადოების ინფორმირებულობის დონეს, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის ნაწარმოები და ხელს შეუწყობს არტისტების პოპულარიზაციას. პროცესს გაუმარტივებს ნაწარმოების შეძენის მსურველებსაც.

კვლევის ძირითადი მიგნებები
ავტორ-შემსრულებლები

- **იდეალური ორგანიზაციის მახასიათებლები**

ავტორ-შემსრულებელთა აზრით, საავტორო უფლებების დაცვის იდეალური ორგანიზაცია შემდეგ 3 ძირითად პარამეტრს უნდა აკმაყოფილებდეს:

- ❖ ჰყავდეს მაღალი კომპეტენციის მქონე, ობიექტური თანამშრომლები (50%), რომლებიც თავაზიანად ეპყრობიან ხელოვანებს.
- ❖ გასცემდეს მისაღებ ჰონორარს საავტორო უფლების მქონე ნაწარმოებებით სარგებლობისას (46%). მათ შორის, უზრუნველყოფდეს ავტორებსა და შემსრულებლებს შორის შემოსავლის პროცენტის სამართლიან განაწილებას.
- ❖ იყოს სანდო, რაც ორგანიზაციის მიერ გამოყენებული აღრიცხვის სქემის გამჭირვალობაში გამოიხატება (43%). გარკვეული პერიოდულობით მიღებული ანგარიში / ინვოისი ნაწარმოების გამოყენების ადგილის, სიხშირის, თანხის გამოთვლის შესახებ დაარწმუნებდა ხელოვანებს ორგანიზაციის სამართლიანობაში და დაეხმარებოდა პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

აღნიშნულ სამ პარამეტრთან მიმართებაში, დღეს კომპანიების მიმართ კმაყოფილების დონე არცთუ ისე დაბალია:

- ❖ ორგანიზაციის თანამშრომლების, მენეჯმენტის კომპეტენცია, პროფესიონალიზმი - 8.88 ქულა
- ❖ ორგანიზაციის მიერ შეგროვებული ჰონორარის ავტორ - შემსრულებლებზე განაწილების სამართლიანობა, ობიექტურობა - 7.43 ქულა
- ❖ ორგანიზაციის მიერ ჰონორარის განაწილებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჭვირვალობა, მარტივად მიღება - 8.19 ქულა

ავტორ-შემსრულებელთა აბსოლუტური უმრავლესობა (100%) ყურადღებას აქცევს ორგანიზაციის იმიჯს, რომელსაც მეტ სანდოობას შესძენდა საერთაშორისო აღიარებაც (გლობალური ორგანიზაციის სტატუსი), თუმცა იდეალური საავტორო ასოციაციის მთავარ მახასიათებლებს შორის, მას მხოლოდ მეხუთედი ასახელებს (19%).

„გამჭირვალობა პირველ რიგში, რომ ზედმეტი კითხვები არ გაჩნდეს. პირველი ეგ არის და ყურადღება.“

კვლევის ძირითადი მიგნებები
ბიზნესის წარმომადგენლები

- **საავტორო უფლებების დაცვის მნიშვნელობა**

ავტორ-შემსრულებლებისგან განსხვავებით, ბიზნესის წარმომადგენელთა დამოკიდებულება საავტორო უფლებების დაცვის აქტუალურობასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია. გამოკითხულთა ნაწილისთვის (45%) ეს საკითხი აქტუალურია, რასაც შემდეგი 2 მიზეზი შეიძლება განაპირობებდეს: (1) პროცესები პირდაპირ ზემოქმედებს მათზე საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაციასთან თანამშრომლობიდან გამომდინარე და (2) არსებობს საკითხები, რომლის მოუგვარებლობაც ბიზნესს პრობლემებს უქმნის. მეორე ნაწილი (53%) კი ნაკლებად ღელავს ამ თემაზე, თუმცა საჭიროდ მიიჩნევს უფლებების რეგულირებისთვის მეტი დროის დათმობას. აღნიშნულს კი იმით ხსნიან, რომ მატერიალური სარგებლის არქონის შემთხვევაში, ავტორ-შემსრულებლები კარგავენ ენთუზიაზმს.

რესპონდენტთა უმრავლესობა თანხმდება (65%), რომ საქართველოში ამ მიმართულებით პრობლემები არსებობს, თუმცა პოზიტიური ძვრები შეინიშნება (ძირითადად თბილისში). ამის თქმის საფუძველია ის გარემოება, რომ წინა წლებთან შედარებით, აკრძალულია სიმღერების უკანონო მოპოვება / გავრცელება, თუმცა ჯერ კიდევ ვერ ვუახლოვდებით განვითარებულ ქვეყნებში არსებულ სიტუაციას.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ბიზნესის წარმომადგენელთა შორის ინფორმაციის ნაკლებობაა ქვეყანაში საავტორო უფლებების დაცვის და ამ სფეროში მოქმედი ორგანიზაციების შესახებ. კითხვაზე, თუ რა სახის პრობლემები არსებობს დღეს საქართველოში ამ კუთხით, რესპონდენტთა ნაწილს პასუხი არ გააჩნია. მეორე ნაწილი კი კანონის არასათანადოდ აღსრულებასა და კონტროლის მექანიზმის არარსებობაზე საუბრობს. არ ფიქსირდება ცალსახა პოზიცია იმასთან დაკავშირებითაც, თუ ვის უნდა ებაროს პროცესი: საავტორო უფლებების დაცვის ნებისმიერ ორგანიზაციას, სასამართლოს / ადვოკატს, სახელმწიფო უწყებებს თუ სხვას. გაურკვევლობაა არსებული ორგანიზაციების ლიცენზირებასთან დაკავშირებითაც, რაც თავის მხრივ, უნდობლობას ბადებს მათ მიმართ.

> *„[სარფიანია] თვითონ შპს-სთვის, ვინც ეს ჩამოაყალიბა, მეტი არავისთვის, როგორც მე ვხედავ. მაშინ გამოვიდნენ ის კომპოზიტორები, ავტორები და თქვან: „ჩვენ საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაცია გვეხმარება, დიდი მადლობა მათ!“ და მეც კმაყოფილი ვიქნები, რომ ვეხმარები. ხმას აღარ ამოვიღებ და გადავიხდი.“*

„მე რა შეხებაც მიწევს, თბილისის დონეზე ყველაფერი უფრო განვითარებულია, ვიდრე რეგიონალურ დონეზე და რეგიონებში აღარ ექცევა ყურადღება. რეგიონებში არავინ მოსულა და უთქვამს „არ დაუკრათ, ლიცენზია გჭირდებათ!“ და ა. შ. უმეტესად თბილისში. ქუთაისშიც კი არ გვქონია ჩვენ ამაზე პრობლემა. თბილისია უფრო გაკონტროლებადი.“

„წინა წლებს რომ შევადაროთ, მოიპოვებოდა ყველაფერი პირატულად. უმეტესობა აიკრძალა და ასე აღარ ხდება. წინსვლა გვაქვს.“

კვლევის ძირითადი მიგნებები
ბიზნესის წარმომადგენლები

• ტექნოლოგიის არსებობის იდეა

მართალია, მუსიკის / რეპერტუარის ტექნოლოგიური მოწყობილობით აღრიცხვის შესაძლებლობას უფრო იწონებენ ბიზნესის წარმომადგენლები (56%), ვიდრე ობიექტის შიდა რესურსის გამოყენებას (32%), თუმცა საერთო ჯამში აღნიშნულ იდეას 6.31 ქულით აფასებენ (10-დან) და შედარებით ნაკლებად განიხილავენ მსგავსი ტექნოლოგიით სარგებლობას (5.99 ქულა). აღნიშნული უნდა უკავშირდებოდეს დამატებითი ხარჯის თავიდან არიდების სურვილს, რადგან ნაკლებად ხედავენ აქედან სარგებლის მიღების შესაძლებლობას. თუმცა იმავე ტარიფის პირობებში საკუთარ ობიექტში ტექნოლოგიის დამონტაჟების წინააღმდეგები არ არიან.

კვლევის ძირითადი მიგნებები
ბიზნესის წარმომადგენლები

• საავტორო უფლებების რეგულირების ფუნქციების განაწილება

მუსიკის / რეპერტუარის აღრიცხვისას **რამდენიმე ორგანიზაციის არსებობას** უფრო მიესალმებიან ბიზნესის წარმომადგენლები, ვიდრე ერთისას (63% vs 27%). ფიქრობენ, რომ ჯანსაღი კონკურენცია ბაზარზე გააუმჯობესებს სერვისის ხარისხს და ტარიფებსაც უფრო კონკურენტულს გახდის. მოსარგებლეებისთვის მნიშვნელოვანია ჰქონდეთ არჩევანის შესაძლებლობა, რომელ ორგანზიაციასთან ითანამშრომლონ.

აღნიშნულის ბარიერად ნაკლებად აღიქვამენ იმას, რომ რამდენიმე ორგანიზაციის შემთხვევაში, არტისტების მრავალფეროვნება შემცირდება, ვინაიდან კონკურენციას უფრო მაღალ მნიშვნელობას ანიჭებენ.

„რა თქმა უნდა რამდენიმე უნდა იყოს, რადგან ჯანსაღი კონკურენცია ჩამოყალიბდება და მივიღებთ უკეთესს, ვიდრე ერთი კომპანია, რომელმაც მაინც იცის უკონკურენტო იქნება, რადგან ერთი იქნება ბაზარზე. ეს გააფუჭებს, რადგან იცის, რომ სხვა არ არის, ვინც უფრო ხარისხიანს შესთავაზებს. შესაბამისად სჯობს, რომ იყოს რამდენიმე და ჰქონდეს ლიცენზია და არარეალურ ფასებს ავიცილებთ თავიდან.“

აზრი იყოფა იმასთან დაკავშირებით, მუსიკის აღრიცხვა და ჰონორარის განაწილება **ერთი და იმავე ორგანიზაციის მიერ უნდა ხდებოდეს თუ სხვადასხვის** (44%-44%). მოსარგებლეებისთვის მნიშვნელოვანია როგორც ობიექტურობა, მიუკერძოებლობა და შესრულებული საქმის ხარისხი, ასევე პროცესის სიმარტივე. შესაბამისად, ფუნქციების გადანაწილება და სხვადასხვა მხარეებთან კომუნიკაცია აფიქრებთ. ვარაუდობენ, რომ რამდენიმე ჩართულ მხარეს შორის ადრე თუ გვიან აუცილებლად მოხდება რაიმე უთანხმოება და გაურკვევლობები.

„ყოველთვის უკეთესია, როცა ერთთან გაქვს საქმე. როცა ერთი და იგივე იშლება 5 ადამიანთან, იმან შეიძლება სხვა თქვას, იმან სხვა და შეიძლება მერე საერთოდ გაურკვევლობა იყოს და მაშინ ეს ძალიან კარგად უნდა დაარეგულირონ, რაც ცოტა რთული იქნება“.

კვლევის ძირითადი მიგნებები
ბიზნესის წარმომადგენლები

• საავტორო უფლებების რეგულირების ფუნქციების განაწილება

ბიზნესის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ **საავტორო უფლებებით სარგებლობის აღრიცხვისას** მნიშვნელოვანია სეზონურობის, დატვირთვის დონის გათვალისწინება, რასაც სკამების დათვლის პრინციპი ვერ უზრუნველყოფს. ნაკლებად იმსახურებს მათში მოწონებას მუსიკის გაჟღერების მიხედვით აღრიცხვის პრინციპიც. მათი აზრით, აღნიშნული მეთოდი საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაციის ინტერესებში უფრო შედის - ეხმარება მას ფინანსურად უკეთესად შეაფასოს ამა თუ იმ შემსრულებლის ჰონორარი და შეადგინოს „ფლეილისტი“ (თუმცა ეს უკანასკნელი ნაკლებად ეპრობლემებათ როზუმის მომხმარებლებს). რაც შეეხება ფიქსირებულ თანხას, ამ შემთხვევაშიც არსებობს კითხვის ნიშნები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ანგარიშდება მისი ოდენობა.

არსებულ სქემებს შორის მოსარგებლეებისთვის შედარებით მისაღებია კვადრატულობის მიხედვით აღრიცხვა. მეტი სიცხადისა და გამჭვირვალობისთვის, სურვილს გამოთქვამენ კვადრატულობა დაფიქსირდეს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული სქემის უპირატესობად სახელდება ის, რომ დატვირთვიდან გამომდინარე, არსებობს განსხვავება დიდი და მცირე ზომის ობიექტების გადასახადს შორის.

ავტორ-შემსრულებლებისგან განსხვავებით, ბიზნესის წარმომადგენლების უმრავლესობა (54%) მიიჩნევს, რომ საავტორო უფლებების დაცვის საკითხი ნაკლებად უნდა ხვდებოდეს სახელმწიფოს პრიორიტეტული თემების სიაში და ყურადღება სხვა უფრო მნიშვნელოვან თემებს ეთმობოდეს.

„ჩვენთან აღრიცხვა გააკეთეს და დაგვიფიქსირეს 150, თუ 160 სკამი. მაგრამ 150 სკამი რომ არ არის დატვირთული ყოველ დღე, რატომ მითვლით? 150 გადამრავლებული 30 დღეზე - ასე არისო და მორჩა.“

„ეს არის მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს სისტემაში მუსიკის გაშვებას და ხდება კვადრატულობის მიხედვით და მიმაჩნია, რომ სრულიად სამართლიანია“.

„ჯისიეი-ს ჰქონდა ესეთი მიდგომა, გადაიხადე საწევრო თუ რაღაც და ჩართე რაც გინდა, რაც თავიდანვე ეჭვის საფუძველი იყო, რომ მინიმუმ არა გამართულ სისტემასთან მქონდა საქმე. იმიტომ, რომ არ შეიძლება ყველაფერზე გქონდეს საავტორო უფლება და როზუმი იყო მეორე კომპანია, რომელმაც შემომთავაზა ისევ გარკვეული თანხის სანაცვლოდ ბოქსის დადგმა, აპლიკაციის ჩაწერა და შესაბამისად, იმ მუსიკის გაშვება, რომელზეც მას აქვს ლიცენზია“.

კვლევის ძირითადი მიგნებები
ბიზნესის წარმომადგენლები

- **საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაციების შერჩევა, კმაყოფილება, უკმაყოფილება**

ბაზარზე ოპერირების ხანგრძლივი ვადიდან გამომდინარე, ჯისიეის გრძელვადიანი თანამშრომლობის გამოცდილება გააჩნია ბიზნესის წარმომადგენლებთანაც, თუმცა ამ შემთხვევაშიც, მისი მომხმარებლების გარკვეული წილი დღეს როზუმის მომსახურებით სარგებლობს.

ზოგადად, იკვეთება ტენდენცია, რომ ბიზნესის წარმომადგენლები თავად ნაკლებად გამოხატავენ საავტორო უფლებების კომპანიებთან თანამშრომლობის სურვილს.

როზუმის შერჩევის მიზეზები

- კანონმდებლობიდან გამომდინარე იძულება 25%
- მისაღები ტარიფები საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებით სარგებლობაზე 25%
- თავად ორგანიზაციის მიერ გაწევრიანების შეთავაზება 23%

როზუმი

როზუმით კმაყოფილების მიზეზები

საერთო ჯამში, ბიზნესის წარმომადგენლები მეტ-ნაკლებად კმაყოფილნი არიან როზუმის მომსახურებით (8.61 ქულა) და რეკომენდაციასაც უწევენ (8.20 ქულა) მას. საგულისხმოა, რომ პოზიტიურად განწყობილი მომხმარებლების რაოდენობით ის მნიშვნელოვნად უსწრებს ჯისიეის. მისი მომხმარებლების მეხუთედს (20%) არ შეუძლია კმაყოფილების თუნდაც ერთი მიზეზის დასახელება, რაც ჯისიეი შემთხვევაში 67%-ს შეადგენს. კმაყოფილების მთავარ მიზეზებს შორის სახელდება მისაღები ტარიფები (34%), მომსახურების სისწრაფე / კომფორტულობა (18%), მომსახურების მაღალი ხარისხი (14%) და თანამშრომელთა პროფესიონალიზმი (14%). კომფორტულ პარტნიორულ ურთიერთობაში მოიაზრებენ იმას, რომ ორგანიზაცია ეხმარება მათ სიმღერების შერჩევაში (ე.წ. „ფლეილისტი“), საჭიროების შემთხვევაში კი ცვლილებების შეტანა-განახლებაში. დროულია მათი მხრიდან რეაგირება პრობლემების/ ხარვეზების წარმოშობის დროსაც.

